წინასიტყვაობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მრავალმხრივი განვითარების, ისევე როგორც გლობალურ და ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების დინამიკის კვალდაკვალ, კიდევ უფრო ცხადი ხდება აქტიური აკადემიური დისკუსიის წარმართვის საჭიროება. კონსტიტუციონალიზმის წიაღში წარმოქმნილი საკითხების რაციონალური განსჯა წარმოადგენს ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის სიცოცხლისუნარიანობის, მისი ქმედითობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წინაპირობას.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი" ჩამოყალიბდა ავტორიტეტულ აკადემიურ გამოცემად, რომელიც ქართველ მეცნიერებს, იურიდიული პროფესიის პრაქტიკოსებსა და ახალგაზრდა მკვლევარებს ანიჭებს შესაძლებლობას, ფართო საზოგადოებას გააცნონ საკუთარი ნაშრომები და დაიმკვიდრონ ადგილი კვლევითი საქმიანობის მიმართულებით. ჟურნალი გამოსადეგი წყაროა აქტუალური სამართლებრივი საკითხების კონსტიტუციურსამართლებრივი გააზრების პროცესში, რითაც იგი ეხმარება იურიდიული პროფესიის სფეროს წარმომადგენლებს, გაიღრმავონ სამართლის დარგის ცოდნა მრავალი მიმართულებით.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის" წინამდებარე გამოცემა აერთიანებს ქართველი ავტორების ხუთ აკადემიურ ნაშრომს. კერძოდ, ჟურნალში თავმოყრილია ქართველი მკვლევარების ნაშრომები შემდეგ საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე: კანონშემოქმედებითი კომპეტენციის დელეგირების კონსტიტუციური ფარგლები (ლელა მაჭარაშვილის ავტორობით), იურიდიფიკაციის ტენდენცია და მართლმსაჯულების სექტორის რეფორმა საქართველოში (სოფო ვერძეულის ავტორობით), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის პრაქტიკის გააზრება (დავით აბესაძის ავტორობით), რეფერენდუმის ჩატარების დასაშვებობა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პირობებში (პროფესორ გიორგი გორაძის ავტორობით) და საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსი საგარეო ურთიერთობების სფეროში (თეა კაველიძის ავტორო-

ბით). ამასთანავე, წინამდებარე გამოცემაში მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოდასავლეთის უნივერსიტეტის პროფესორის, ენდრიუ კოპელმენის აკადემიური ნაშრომი რელიგიის თავისუფლების იმ მორალურ-ფილოსოფიურ საკითხებზე, რომლებიც აქტუალურია ლიბერალურ-დემოკრატიული წესრიგის კონსტიტუციურსამართლებრივი გააზრების პროცესში.

მიმაჩნია, რომ ,,საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის'' წინამდებარე გამოცემა გამოსადეგი წყარო გახდება აკადემიური დისკუსიისა და სამართლებრივი ცოდნის ამაღლების პროცესში. ერთმნიშვნელოვნად სასიხარულოა, რომ წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. აღნიშნული მემორანდუმი გულისხმობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მჭიდრო პლატფორმის ჩამოყალიბებას აკადემიური, საგანმანათლებლო და კვლევითი მიმართულებით, რაც, მათ შორის, მოიაზრებს საგამომცემლო საქმიანობის წარმოებას, ასევე, კონფერენციების, საჯარო ლექციების, სემინარების დაგეგმვასა და საკონსტიტუციო სასამართლოში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რესურსების ერთობლივი შეჯერებითა და გამოყენებით შესაძლებელი გახდება ღირებული აკადემიური თუ საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, რაც შესაძლებლობების ახალ არეალს გაუხსნის იურიდიული პროფესიის სწავლებისა და შესწავლის პროცესში ჩართულ ინდივიდებს.

პროფესორი **მერაბ ტურავა**
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე